

თანამედროვე ქართული დოკუმენტური კინოს ტენდენციები

ლილი გლურჯიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე, ასოცირებული პოფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლილი გლურჯიძე

22.06.2018.

აბსტრაქტი

რა თემები, ისტორიებია დღეს აქტუალური თანამედროვე ქართულ დოკუმენტურ კინოში. ვის ირჩევენ ქართველი კინემატოგრაფისტები მთავარ გმირებად და როგორ ქმნიან ამ ადამიანების სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს. რა გზავნილის, იდეის მატერებელია მათი ფილმები და რისი თქმა სურთ საზოგადოებისთვის. როგორ ხედავენ ისინი საქართველოში არსებულ რეალობას? დღეს, როცა დოკუმენტური კინოს მაყურებლის რიცხვი იზრდება და მისი სოციალური მნიშვნელობაც მატულობს, ამ ფილმების ანალიზი და მათი საშუალებით რეალობაზე რეფლექსია ძალიან მნიშვნელოვანია. თითქმის აღარავინ დაობს იმაზე, რომ დოკუმენტური კინოს დატვირთვა რეალობის არა მხოლოდ დაფიქსირება, არამედ გააზრება და ანალიზიცაა. მთელ მსოფლიოში დოკუმენტური კინო ადამიანების უფლებებზე, მათ საჭიროებებზე, ინდივიდუალურ თუ ზოგადსაკაცობრიო პარადიგმებზე მსჯელობის ასპარეზადაა ქცეული. თუმცა პარალელურად არსებობს პოეტური, ექსპერიმენტული დოკუმენტური ფილმები, სადაც ესთეტიკა განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია. სულ უფრო თამამი, ნოვატორული და ზოგჯერ გამომწვევიც კი ხდება დოკუმენტური ფილმების ვიზუალური გადაწყვეტა. განვიხილავთ მეოცე საუკუნეში შექმნილ მნიშვნელოვან დოკუმენტურ კინო სკოლებს, ჟანრებსა და მეთოდებს, რომლებიც ახლაც დიდ როლს თამაშობს კინოდოკუმენტალისტიკაში და გავეცნობით თანამედროვე ტენდენციებს, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზეც(განსაკუთრებული აქცენტით პოლონეთის დოკუმენტურ კინოზე). ნაშრომის ძირითად ნაწილში კი განხილული იქნება 21-ე საუკუნეში შექმნილი ქართული დოკუმენტური ფილმები, საინტერესოა რა სტილსა და რაკურსებს ირჩევენ ქართველი დოკუმენტალისტები და რამდენად ჩანს აქ მათი საავტორო ხედვა, ინდივიდუალური ხელწერა. ბოლო რამდენიმე ათწლეულში რეალობის აღქმაც კი შეიცვალა, რაც თავისთავად აისახა ქართულ დოკუმენტურ კინოზეც, რომელიც სულ უფრო სოციალური, საინტერესო ხდება, რაც მთავარია

ჩნდებიან ინდივიდუალური ხელწერის მქონე ავტორები. სწორედ ამ ტრანსფორმაციის ნიშნებისა და ახლა არსებული გამოწვევების ანალიზს შევეცდებით მოცემულ ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქართული დოკუმენტური კინო, ტრანსფორმაცია, გამოწვევები, რეალობა, ინდივიდუალური ხედვა.

Abstract

What topics and stories are relevant in modern Georgian documentary films? Who are the main heroes? Why do Georgian cinematographers choose them and how do they create social or psychological portraits of these people? What kind of messages do they have for society? What do they want to say to the public? What concepts and ideas do their films carry? Nowadays, when documentary cinema is more popular than ever and the audience is rapidly growing, it is very important to analyze these films and try to reflect on the reality through them. There is no doubt that the main mission of the documentary cinema is not only to capture the reality, but also to help us understand it. Documentary cinema around the world has become the platform of discussion on human rights, needs of people, individual or general issues. Additionally, we have poetic, experimental documentary films, where the aesthetics are the key. The form and visual side of documentary films are becoming more and more interesting, innovative, sometimes even provocative. We will talk about important documentary films, genres and methods created in the twentieth century, which still play a major role in modern documentary filmmaking. We will discuss new trends and concepts in modern documentary film world and also remember notable examples from soviet documentary cinema. In the last chapter we will discuss documentary cinema of post-soviet countries (with special emphasis on Polish documentary school). The main part of the work will discuss Georgian documentary films of 21st century. What are the Georgian documentaries, What's fascinating about them and how do they see their author's vision? Along with individual handwriting. What is their reality? Vision of reality has changed in the past few decades, which has been reflected in the Georgian documentary film that is becoming more social and intricate, the most important aspect is that new authors have individual handwriting. We will try to analyze the signs of transformation and the present challenges in their work.

Keywords: modern Georgian documentary film, transformation, challenges, reality, individual vision.